ხელშეკრულება N 79

ლოგისტიკურ-კონსალტინგური, საფოსტო კორესპონდენციის/გზავნილების საკურიერო და ტვირთების ტრანსპორტირება-ექსპედირების, საბაჟო გაფორმების, სატერმინალო და სასაწყობო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი, 28.05.18 წ.

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან ექსპრესი", ს/კ: 201954965, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105, 0119, როგორც DHL EXPRESS-ისა და DHL GLOBAL FORWARDING/FREIGHT-ის ექსკლუზიური აგენტი საქართველოს ტერიტორიაზე, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, პაატა სარიშვილის მიერ, შემდგომში DHL და მეორე მხრივ ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ს/კ:445388054, იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N84/86, ფარნავაზ მეფის ქ.N84/86, წარმოდგენლის დირექტორის თინათინ ზოიძის მიერ შემდგომში „დამკვეთი", ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. DHL დამკვეთის საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელებს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მომსახურებებიდან რომელიმე ერთს ან რამდენიმე სახის მომსახურებას. დამკვეთის მიერ არჩეული ყოველი ცალკეული მომსახურების წესები და პირობები 9.1. პუნქტის დათქმის გათვალისწინებით განისაზღვრება დანართით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. DHL-ის მომსახურეგათა სრული სპექტრი მოიცავს საერთაშორისო, ადგილობრივ და დამატებით მომსახურებებს. ყოველი ცალკეული მომსახურების წესები და პირობები წარმოდგენილია N 01 დანართში[1].

1.2.1 DHL-ის საერთაშორისო მომსახურებები და მათი მიღების პირობები და წესებია 4

☒ კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების პირობები და წესები..... 4

☒ საჰაერო/სატვირთო გადაზიდვის (ცალკეული, კონსოლიდირებული და ჩარტერული) მომსახურების პირობები და წესები..... 7

☒ საზღვაო გადაზიდვის (საკონტეინერო სრული და ნაწილობრივი დატვირთვა, არასაკონტეინერო კონსოლიდირებული და ჩარტერული) პირობები და წესები 9

☒ სახმელეთო საავტომობილო გადაზიდვის (მულტიმოდალური, სრული და ნაწილობრივი დატვირთვა) მომსახურების პირობები და წესები 11

☒ სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურების პირობები და წესები..... 14

☒ არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვის მომსახურების პირობები და წესები..... 16

☒ კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურების პირობები და წესები..... 18

1.2.2. DHL-ის ადგილობრივი მომსახურებები და მათი მიღების პირობები და წესებია..... 19

☒ საბაჟო გაფორმების მომსახურების პირობები და წესები..... 19

☒ შიდა გადაზიდვები საქართველოს ტერიტორიაზე (საფოსტო კორესპონდენცია/გზავნილები და ტვირთები) მომსახურების პირობები და წესები..... 20

☒ სასაწყობო და სატერმინალო (საქართველოს ტერიტორიაზე) მომსახურების პირობები და წესები..... 23

1.2.3. DHL-ის დამატებითი მომსახურებები და მათი მიღების პირობები და წესებია:..... Error! Bookmark not defined.

☒ ტვირთებისა და საფოსტო კორესპონდენციის/გზავნილების დაზღვევა 25

☒ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღების პირობები და წესები..... 27

[1] ინფორმაცია მომსახურების წესებსა და პირობებში ცვლილებებთან დაკავშირებით გამოქვეყნდება DHL-ის ვებგვერდზე www.dhl.ge ცვლილების ძალაში შესვლიდან სულ ცოტა 10 დღით ადრე

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები

2.1. მომსახურებების საფასურის ოდენობა შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს.
2.2. მომსახურების საფასურის ანაზღაურება ხორციელდება DHL-ის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, ინვოისის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. გადაზიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში, მხარეებს შორის განისაზღვროს გადახდის სხვა პირობები.
2.3. ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.
2.4. DHL-ს აქვს ტვირთზე/საფოსტო გზავნილზე მფლობელობითი გირავნობის უფლება დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დროულად, სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

მუხლი 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. ამ ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 7.2. პუნქტით შეთანხმებული საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო აქტებით.
3.2. ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებსაც მხარეები მიიღებენ ერთმანეთისგან, მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია, მოეკიდოს ასეთ ინფორმაციას, როგორც საკუთარს და არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

მუხლი 4. პრეტენზიებისა და მიმართვის წარდგენის ვადები

4.1. ტვირთის/გზავნილის მიღებისას მისი გარეგნულად შესამჩნევი დაზიანებისა ან/და დანაკლისის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია იმავე დღეს აცნობოს DHL-ს აღნიშნულის თაობაზე, მოითხოვოს DHL-ის წარმომადგენლის დასწრება დათვალიერებისას, უზრუნველყოს შესაბამისი აქტის შედგენა მხარეთა წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტის მონაწილეობით.
4.2. ტვირთის/გზავნილის მიღებისას გარეგნულად შეუმჩნეველი დაზიანებისას, დამკვეთი ვალდებულია მიმართოს DHL-ს შესაბამისი წერილობითი პრეტენზიით ტვირთის/გზავნილის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დამკვეთის პრეტენზია DHL-ის მიმართ არ დაიშვება.

მუხლი 5. შეტყობინებების გაგზავნის წესი

5.1. ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობით, ფაქსით ან კურიერის მეშვეობით, ამ ხელშეკრულების 9.5. პუნქტში მითითებულ მისამართებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ურთიერთობისათვის პირდაპირ არის გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის გამოყენება.

მუხლი 6. ფორს-მაჟორული გარემოებები

6.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და შესრულების გაჭიანურება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად (ფორსმაჟორი - სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ხანძარი, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, საქართველოს ან მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ტვირთის მოძრაობის მარშრუტზე, სატრანზიტო ქვეყნების ტერიტორიაზე, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული აქტები, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან/და შეუძლებელი გახადოს მხარეთათვის ამ ხელშეკრულებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დადგენილი პირობების შესრულება და სხვა), მხარეები გააგრძელებენ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებას ამგვარი გარემოებების დასრულებისთანავე, ხოლო ფორსმაჟორით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად.
6.2. თუ ამგვარი გარემოებები გრძელდება და შეუძლებელს ხდის მხარეთათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, მხარეები უფლებამოსილი არიან შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით მიაღწიონ მათთვის მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

6.3. იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ფორსმაჟორული გარემოებების გამო, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, პირველივე შესაძლებლობისთანავე.

მუხლი 7. დავათა გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
7.2. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება მომსახურების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციებით/შეთანხმებებით, მათი დამატებითი ოქმებითა და დანართებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის წესი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენამდე. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მეორე მხარის აქცეპტირების მომენტიდან.
8.2. ხელშეკრულების ვადამდელი მოშლა დაიშვება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტამდე მხარეები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე ვალდებულებები. კერძოდ, DHL-მა უნდა დაასრულოს დაწყებული მომსახურება, თუ მისი შეწყვეტა ფაქტობრივად შეუძლებელი, ან კიდევ, ხარჯების გაწევასთან იქნება დაკავშირებული, ხოლო დამკვეთმა უნდა აანაზღაუროს განხორციელებული მომსახურების საფასური და ხარჯებიც, ასეთის არსებობისას.
8.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ამ ხელშეკრულებაში ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით და იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან. ცვლილებები და დამატებები განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მომსახურების წესებისა და პირობებიდან, დანართის სახით ხელშეკრულებას ერთვის მხოლოდ დამკვეთის მიერ არჩეული მომსახურებების წესები და პირობები. ხელშეკრულება არ საჭიროებს იმ მომსახურებათა წესებისა და პირობების თანდართვას, რაც დამკვეთს არ აურჩევია.
9.2. ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული და დამკვეთის მიერ არჩეული წესები და პირობები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.3. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები მათი ნების გამოვლენის შედეგია, ეთანხმებიან მათ და ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით.
9.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ერთმანეთის მიმართ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.
9.5. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ჯორჯიან ექსპრესი"
მის: წერეთლის 105, 0119 თბილისი, საქართველო
ს/კ: 201954965
ტ: 2696060
ელ. ფოსტა: INFO@DHL.GE
ს/ს „საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის N: GE70BG0000000391050200

აღმასრულებელი დირექტორი
პაატა სარიშვილი

(ხელმოწერა/ბეჭედი)

ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო
იურიდიული მის: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N84/86
ფაქტიური მის: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N84/86
ს/კ: 445388054
ტ: 577404133
ელ. ფოსტა: agency@gobatumi.com
ს/ს: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის N: GE24NB0330100200165022

დირექტორი
თინათინ ზოიძე

(ხელმოწერა/ბეჭედი)

კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას კონკრეტული პერიოდისათვის გამოცხადებული ტარიფებისა და საწვავის დანამატის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ამასთან, გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, DHL ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წინასწარ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.
3. კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების სატრანზიტო დრო არის მითითებული ტარიფების პარალელურად ქვეყნების/ზონების მიხედვით **ხელშეკრულების დანართ N2-ში**. სატრანზიტო დრო წარმოადგენს პრაქტიკიდან გამომდინარე საშუალო სატრანზიტო დროს ქვეყნების/ზონების მიხედვით და არცერთ შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების არსებობის გარდა, არ წარმოადგენს გადაზიდვისათვის დათქმულ სატრანზიტო ვადას, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. სატრანზიტო დროის დაუცველობის შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებითი შეთანხმება სატრანზიტო დროსთან დაკავშირებით, DHL-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან/და ირიბ ზარალზე/ზიანზე.
4. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებით სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვისა, საჭიროებიდან გამომდინარე.
5. კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობა, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ვარშავის, მონრეალის და DGR-ის კონვენციების, IATA-ს და ICAO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი=200კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ.)/5000. ამასთან, გადასაზიდი გზავნილის წონად ანგარიშსწორებისას ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.
7. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით, ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, სხვადასხვა ქვეყნებში საავიაციო სატვირთო ტერმინალებთან, ავიაკომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი, ამასთან ასეთი მომსახურების დროს, მიმღები პირის გვარი და ჩაბარების თარიღი შესაძლებელია ვერ იქნეს მიწოდებული დამკვეთისთვის.
8. რიგ შემთხვევებში, DHL, დამკვეთის მოთხოვნით, ანიჭებს მას ანგარიშის ნომერს. ამასთან, ანგარიშზე შეიძლება გავრცელდეს შემცირებული ტარიფები, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებაზე, როგორც საექსპორტო, ასევე საიმპორტო (იმპორტექსპრესი) გადაზიდვისას. ასეთი ანგარიშის ნომრის მესამე პირისთვის გადაცემა სარგებლობისათვის დაუშვებელია DHL-თან შეთანხმების გარეშე.
9. შემცირებული ტარიფების საკვალიფიკაციო მოთხოვნის საფუძველია დამკვეთის მიერ 90 კალენდარული დღის განმავლობაში არანაკლებ 15 (თხუთმეტი) გზავნილისა ან/და ჯამურად 99 კილოგრამის წონით (რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 გზავნილისგან) გაგზავნა/მიღება ნებისმიერი მიმართულებით.
10. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის ზღვრული ღირებულება აღემატება თითოეულ ფაქტობრივ კილოგრამზე 1000 ლარს ან საერთო ღირებულებით 3000 ლარს, მათ შორის, იმპორტ-ექსპრესის მომსახურებით გადაზიდულ გზავნილებზე, დამკვეთი ვალდებულია, ამის შესახებ, შეატყობინოს DHL-ს წინასწარ, გადაზიდვის დაწყებამდე და მიიღოს კონსულტაცია ასეთი გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებით.
11. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის მთლიანი წონა აღემატება 250 კგ-ს, ერთი ადგილის წონა აღემატება 50 კგ-ს, სიგრძე აღემატება 120 სმ-ს, სიგანე აღემატება 80 სმ-ს ან/და სიმაღლე აღემატება 80 სმ-ს, დამკვეთი ვალდებულია, ამის შესახებ, შეატყობინოს DHL-ს წინასწარ, გადაზიდვის დაწყებამდე და მიიღოს კონსულტაცია ასეთი გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებით.
12. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობით დაუშვებელია შემდეგი ნივთების გადაზიდვა:

12.1. ცოცხალი ცხოველები
(მათ შორის ძუძუმწოვრები, რეპტილიები, თევზები, უხერხემლო ცხოველები, ამფიბიები და ჩიტები)
DHL Express არ გააჩნია მათი ტრანსპორტირების შესაძლებლობა;
ადამიანის ნეშტი ან ფერფლი
მაღალი სინჯის ძვირფასი ლითონები (ნებისმიერი ძვირფასი ლითონი) (ჩვეულებრივ, და მათ შორის, ოქრო ან ვერცხლი
დიდი რაოდენობით, მაგალითად ოქროს ზოდები ან ჩამოსხმული ფილები). ეს ნივთები აკრძალულია გადასაზიდად,
რამდენადაც DHL Express ქსელი არ არის აღჭურვილი მსგავსი ნივთების ტრანსპორტირების შესაბამისი დაცვის
სისტემით. ამ შემთხვევაში DHL თანამშრომლები ან საკუთრება შეიძლება გახდეს კრიმინალურ პირთა სამიზნე.
ნაღდი ფული (ამჟამინდელი ეროვნული ვალუტა)
(ბანკნოტები, ფულადი ნიშნები და მონეტები)
ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების შემოტანა
(დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაპრიალებული ან გაუპრიალებელი)
ცეცხლსასროლი იარაღის ან აღჭურვილობის, ასაფეთქებელი იარაღის ან მოწყობილობის კომპლექტი
ამ ნივთების გადაზიდვა აკრძალულია DHL Express ქსელში. რამდენადაც, რიგ ქვეყნებში გადამზიდავისგან საჭიროებს
სპეციალურ მოპყრობის წესსა და ლიცენზიებს. შეზღუდვები, ასევე, შეეხება მთელი მსოფლიოს მასშტაბით
აეროპორტებსაც. ამგვარი ნივთების საჰაერო სივრცეში მოპყრობის წესებიდან გამომდინარე.
შენიშვნა: ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილების ტრანსპორტირებაც, ასევე, აკრძალულია
უკანონო საქონელი და სპილოს ძვალი
ნებისმიერი საქონელის ტრანსპორტირება, რაც საერთაშორისო კანონის მიხედვით ითვლება უკანონოდ, აკრძალულია.
DHL Express შეიძლება ფინანსურად და სამართლებრივად პასუხისმგებელი აღმოჩნდეს ამგვარი საქონელის
გადაზიდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ ნივთებს, რომლის აკრძალვაც ქვეყნის
მიხედვით განისაზღვრება (მაგალითად, ალკოჰოლის ან პორნოგრაფიის შემოტანა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში)
და საქონელს, რომელიც საერთაშორისო კანონის მიხედვით ითვლება უკანონოდ და შეიძლება იყოს მაგალითად,
გაყალბებული ნივთები, სპილოს ძვალი და კონკრეტული ნარკოტიკი (მაგალითად, ჰეროინი, კოკაინი).
12.3. ნებისმიერი სხვა ნივთის გადაზიდვა, რომელზეც დაწესებულია აკრძალვა ან/და შეზღუდვა DHL-ის რომელიმე
სადგურის მიერ.
13. აუცილებლობის შემთხვევაში, DHL უფლებამოსილია განახორციელოს გზავნილის ინსპექტირება დამკვეთისთვის
წინასწარი შეტყობინების გარეშე.
14. დაუშვებელია გზავნილის გაგზავნა სააბონენტო ყუთის მითითებით მისამართზე.
15. გზავნილის ჩაბარება დანიშნულების ადგილზე უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე,
ამასთან, DHL-ს არ აქვს ვალდებულება, რომ გზავნილი უშუალოდ საკონტაქტო პირს ჩააბაროს.
16. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად
მიაწოდოს გზავნილის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც
დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე, შეუძლებელია DHL-ის მიერ
გზავნილის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
16.1. კომერციული ინვოისი და საჭიროების შემთხვევაში, გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა
დოკუმენტაცია;
16.2. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო
ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ზუსტ მისამართს, საფოსტო ინდექსს, საკონტაქტო პირს და ტელეფონის
ნომრებს.
16.3. გზავნილის ზუსტი და დეტალური აღწერილობა (წონა ბრუტო და ნეტო, მახასიათებლები, გაბარიტები; ამასთან
DHL ახორციელებს ამ ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთთან შეთანხმებით, აზუსტებს
მათ.
17. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის ჯეროვანი მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვას და
მარკირებას, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ
ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.
18. დამკვეთი ვალდებულია გზავნილი მზად ჰქონდეს DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების
გზავნილის წამოსაღებად ადგილზე მისვლის მომენტისათვის.
19. დამკვეთი DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და
უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.
20. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალებს DHL-ს გზავნილის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი
ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს გზავნილის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს
DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია.
21. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი
შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

22. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, სერტიფიკატები და სხვა თანმხლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.
23. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული გზავნილის/გზავნილების ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.
24. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც, შესაძლოა, შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.
25. იმ შემთხვევებში, თუ შეუძლებელი იქნება დამკვეთის მიერ მოთხოვნილ დანიშნულების ადგილზე მომსახურების განხორციელება, გზავნილის მიწოდება განხორციელდება DHL-ის შესაბამის სადგურში მოკითხვამდე რეჟიმით. ასეთი შემთხვევის არსებობისას, DHL დამკვეთს გადაზიდვის დაწყებამდე აცნობებს, რომ გზავნილის მიწოდება მოხდება მოკითხვამდე რეჟიმში და იმ სადგურის მისამართს, სადაც მოხდება გზავნილის მოკითხვამდე რეჟიმში განთავსება.
26. რიგ რეგიონებში/მისამართებზე, სადაც არ ვრცელდება DHL-ის სტანდარტული მომსახურების არეალი, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს გზავნილის ჩაბარება დამატებით საფასურის გადახდის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, DHL აცნობებს დამკვეთს, როგორც ასეთი შესაძლებლობის არსებობაზე, ასევე შესაბამისი ჩაბარების ტარიფს.
27. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ მოწოდებული ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში, მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.
28. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL, საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია, მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.
29. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

საჰაერო /სატვირთო გადაზიდვის (ცალკეული, კონსოლიდირებული და ჩარტერული) მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს ტვირთების როგორც კონსოლიდირებული, ასევე, ჩარტერული საჰაერო გადაზიდვის ორგანიზებას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას მხარეებს შორის შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის, უნდა შეთანხმდეს გადაზიდვის ტარიფი და გადაზიდვისათვის საჭირო გონივრული სატრანზიტო დრო.
4. საჰაერო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. საჰაერო გადაზიდვის მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ვარშავის, მონრეალის და DGR-ის კონვენციების, IATA-ს და ICAO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. ტვირთის საჰაერო გადაზიდვის მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი =167კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ)/6000. ამასთან, გადასაზიდი ტვირთის წონად, ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.
7. ტვირთების საჰაერო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში, DHL უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, სხვადასხვა ქვეყნებში საავიაციო სატვირთო ტერმინალებთან, ავიაკომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.
8. ტვირთების საჰაერო გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე, შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
8.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
8.2. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;
8.3. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი/პუნქტები, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
8.4. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8.5. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;
8.6. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;
8.7. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);
8.8. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა, ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS;
8.9. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას და დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;
8.10. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა).
9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვასა და მარკირებას. იმ შემთხვევაში, თუ DHL ახორციელებს ისეთ დამატებით მომსახურებას, როგორიც არის, ტვირთის აეროპორტამდე/აეროპორტიდან საგზაო ტრანსპორტით გადაზიდვა, დამკვეთი ვალდებულია ტვირთი და თანმხლები დოკუმენტაცია ჯეროვნად ჰქონდეს გამზადებული DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის წამოსაღებად, წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე დასატვირთად მისვლის მომენტისათვის.

10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალებს DHL-ს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

12. დამკვეთი, DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია, გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

13. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

14. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

15. დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) საფუძველზე, DHL ვალდებულია, უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

16. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.

17. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

18. მხარეებს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება სპეციალური შესაფუთი მასალის, პალეტებისა და სხვა მსგავსი მასალის, ასევე, ტემპერატურული რეჟიმის, კონტეინერების დაბრუნების ან/და გაცვლის შემთხვევებისათვის.

19. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვის, შენახვის ან/და დამუშავებისას ფაქტობრივად წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურების და სხვა მსგავსი ხარჯები.

20. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.

21. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული საჰაერო გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

საზღვაო გადაზიდვის (საკონტეინერო სრული და ნაწილობრივი დატვირთვა, არასაკონტეინერო კონსოლიდირებული და ჩარტერული) მომსახურეობის პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით, ახორციელებს ტვირთების როგორც მთლიანი ან/და ნაწილობრივი დატვირთვის საკონტეინერო, ასევე, არასაკონტეირო საზღვაო გადაზიდვის ორგანიზებას.

2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მხარეებს შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.

3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს შესაბამისი ტარიფი და საამისოდ გონივრული სატრანზიტო დრო.

4. საზღვაო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.

5. ტვირთის საზღვაო გადაზიდვა, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ბრიტანული საზღვაო სამართლის, "ჰამბურგის წესები"-ს, IMDG-ის და IMO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.

6. ტვირთის საზღვაო გადაზიდვისას, როგორც კონტეინერის ნაწილობრივი დატვირთვის, ასევე არასაკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევებში, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა 1 კუბური მეტრი=1 ტონას. ამასთან, გადასაზიდი ტვირთის წონად, ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.

7. ტვირთების საზღვაო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია, კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, ნავსადგურებთან, გემთმფლობელ კომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.

8. ტვირთების საზღვაო გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:

8.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;

8.2. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;

8.3. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი/პუნქტები, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;

8.4. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.5. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;

8.6. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;

8.7. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);

8.8. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა, ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS (უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი);

8.9. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას/დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;

8.10. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა);

9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია, უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვასა და მარკირებას. იმ შემთხვევაში, თუ DHL ახორციელებს ისეთ დამატებით მომსახურებას, როგორიც არის, ტვირთის საზღვაო პორტამდე საგზაო ტრანსპორტით

გადაზიდვა, დამკვეთი ვალდებულია ტვირთი და თანმხლები დოკუმენტაცია ჯეროვნად ჰქონდეს გამზადებული DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე დასატვირთად მისვლის მომენტისათვის

10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ავალებს DHL-ს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, დამკვეთი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მხარეები თანხმდებიან, რომ დატვირთვისათვის და დაცლისათვის გამოყოფილია 48 საათი, შესაბამისი საბაჟო გაფორმების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან/და მისი მიმღები/გამომგზავნი მითითებულ დროში არ განახორციელებს ტვირთის დატვირთვას/დაცლას, მაშინ, მან, სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის მოცდენისათვის, DHL-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხარჯების სახით, უნდა აუნაზღაუროს თანხა საქართველოს ტერიტორიაზე - 100 აშშ დოლარის ექვივალენტში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ კი - 200 აშშ დოლარის ექვივალენტში.

11. დამკვეთი ვალდებულია, შეამოწმოს შეთანხმებულ ადგილზე და დროს მიწოდებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის ვარგისიანობა და მისი ტექნიკური გამართულობა, შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის უვარგისობის, ან კიდევ, ტექნიკური გაუმართაობის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია DHL-ს და მოითხოვოს მისი შეცვლა.

12. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

13. დამკვეთი, DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

14. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

15. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

16. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების/საზღვაო კონტეინერის მიწოდება შეთანხმებულ ადგილსა და დროს.

17. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანმხლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

18. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.

19. DHL ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

20. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიცა არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.

21. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას მისივე ხარჯით, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია, მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.

22. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული საზღვაო გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

სახმელეთო საავტომობილო გადაზიდვის
(მულტიმოდალური, სრული და ნაწილობრივი დატვირთვა)
მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს როგორც მთლიანი, ასევე, ნაწილობრივი დატვირთვის ტვირთების სახმელეთო-საავტომობილო გადაზიდვის ორგანიზებას.

2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას მხარეებს შორის წინასწარ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.

3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს გადაზიდვის ტარიფი და საამისოდ გონივრული სატრანზიტო დრო.

4. სახმელეთო-საავტომობილო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.

5. ტვირთების სახმელეთო-საავტომობილო გადაზიდვის მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება TIR-ის, CMR-ის, ADR-ის, AETR-ის, ATP-ისა და IRU-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.

6. ტვირთის სახმელეთო-საავტომობილო გადაზიდვისას, სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი დატვირთვის შემთხვევაში, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა 1 გრძივი მეტრი=1650 კგ, 1 ევროპალეტი=660 კგ, 1 კუბური მეტრი=250 კგ. ამასთან, გადასაზიდი ტვირთის წონად, ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.

7. ტვირთების სახმელეთო-საავტომობილო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით, ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, საავტომობილო ტერმინალებთან, სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.

8. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:

8.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;

8.2. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;

8.3. გადაზიდვის საწყისი, საბოლოო დანიშნულების პუნქტი/პუნქტები, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია და დანიშნულების ადგილზე შესაბამისი საბაჟო ტერმინალის კოდი.

8.4. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.5. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;

8.6. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;

8.7. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);

8.8. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS (უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი);

8.9. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას/დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;

8.10. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც, შეიძლება, გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა).

9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვასა და მარკირებას.

10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი DHL-ს არ ავალებს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, მაშინ დამკვეთი ვალდებულია, დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მხარეები თანხმდებიან, რომ დატვირთვისათვის და დაცლისათვის გამოყოფილია 48 საათი, შესაბამისი საბაჟო გაფორმების ჩათვლით. თუ დამკვეთი ან/და მისი მიმღები მითითებულ დროში არ განახორციელებს ტვირთის დატვირთვას/დაცლას, მაშინ მან DHL-ს უნდა აუნაზღაუროს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სატრანსპორტო საშუალების მოცდენის ხარჯები, საქართველოს ტერიტორიაზე 100 ევროს ექვივალენტ, ხოლო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კი, 150 ევროს ექვივალენტ თანხაში.

11. დამკვეთი ვალდებულია დატვირთვის პუნქტში სატრანსპორტო საშუალებაში ტვირთის ჩატვირთვისას სრულად, ჯეროვნად და დროულად უზრუნველყოს მისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მარკირება, შეფუთვა, ფიქსირება და ტვირთის საერთო წონის თანაბრად განაწილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტვირთის ან მისი შეფუთვის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალებების ან გადაზიდვაში მონაწილე მხარეთა მოწყობილობებისათვის, მათი და მესამე პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენება. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული როგორც ღერძული, ასევე სრული ზედმეტი დატვირთვა.

12. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

13. დამკვეთი ვალდებულია DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება DHL-ის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

14. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

15. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

16. DHL ვალდებულია შეთანხმებულ ადგილზე და შეთანხმებულ დროს უზრუნველყოს დამკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მიწოდება.

17. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

18. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისგან მიღებული ტვირთის შეთანხმებულ დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება და მისი გადაცემა მიმღებისათვის სრულად და დაუზიანებლად.

19. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

20. DHL ვალდებულია უზრუნველყოს საბაჟო ლუქის მთლიანობა, არ დაუშვას ლუქის მოხსნა მიმღებ ტერმინალზე საბაჟო ორგანოების წარმომადგენლის დაუსწრებლად.

21. DHL ვალდებულია არ დატოვოს დატვირთული სატრანსპორტო საშუალება მეთვალყურეობის გარეშე.

22. მხარეებს შორის ცალკე უნდა დაიდოს წერილობითი შეთანხმება შესაფუთი მასალის, პალეტებისა და სხვა მსგავსი მასალის, ასევე ტემპერატურული რეჟიმის კონტეინერების დაბრუნების ან/და გაცვლის შემთხვევებისათვის.

23. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას ფაქტობრივად წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიცა არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.

24. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია, მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.

25. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული სახმელეთო გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

სარკინიგზო გადაზიდვის
მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით, ახორციელებს ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვის ორგანიზებას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მხარეებს შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. ყოველი ცალკეული გადაზიდვის განხორციელებისას, მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს შესაბამისი ტარიფი და საამისოდ გონივრული სატრანზიტო დრო.
4. სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება COTIF-ის, OSJD-ის, CRT-ის, CIS-ის, და RID-ის უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, სარკინიგზო სადგურებთან და ტერმინალებთან, ვაგონების, ჩიხებისა და ლოკომოტივების მფლობელებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.
7. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
7.1. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.
7.2. ტვირთის საბაჟო კოდი
7.3. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;
7.4. გადაზიდვის საწყისი, საბოლოო დანიშნულების პუნქტი ან პუნქტები, ისევე, როგორც მიმღების/გამოგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
7.5. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7.6. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;
7.7. ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები;
7.8. ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო);
7.9. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS (უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი);
7.10. ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას/დასაწყობებისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი;
7.11. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტაცია) ტვირთის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზური და ძვირფასი ტვირთი, ცოცხალი ტვირთი, მალფუჭებადი, აალებადი, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ტვირთი, ორმაგი ღირებულების მქონე ტვირთი, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვა).
8. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვას, დამაგრებას და მარკირებას.
9. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი DHL-ს არ ავალებს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, მაშინ დამკვეთი ვალდებულია, დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი გადააცილებს დატვირთვისათვის/დაცლისათვის გამოყოფილ დროს, მაშინ მხარეები დამატებით შეთანხმდებიან დატვირთვის/დაცლის ახალ დროსა და ფინანსური ჯარიმების ანაზღაურებაზე.

10. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.
11. დამკვეთი DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.
12. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.
13. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.
14. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მიწოდება შეთანხმებულ ადგილზე და შეთანხმებულ დროს.
15. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.
16. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.
17. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.
18. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული, მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას ფაქტობრივად წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი თუ ჯარიმა, როგორიც არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.
19. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის/გზავნილების მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.
20. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული სარკინიგზო გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვის მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვას.
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მხარეებს შორის წინასწარ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმებული ტარიფის მიხედვით DHL-ის მიერ წარმოდგენილი ინვოისი საფუძველზე.
3. ყოველი ცალკეული გადაზიდვისას, მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს გადაზიდვის ტარიფი და საამისოდ გონივრული სატრანზიტო დრო.
4. არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. DHL-ის ორგანიზებით არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვის მომსახურება, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, ხორციელდება გადასაზიდ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების, ასევე CMR-ის, ADR-ის, IMDG-ის, IMO-ს, IATA-ს, DGR-ის, COTIF-ის, CRT-ის, CIS-ის, OSJD-ის, RID-ის უნიფიცირებული წესების მიხედვით.
6. არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის წონისა და ზომების მიმართ/გათვალისწინებით, გამოიყენება სხვადასხვა კოეფიციენტები.
7. არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, სარკინიგზო სადგურებთან და ტერმინალებთან, ვაგონების, ჩიხებისა და ლოკომოტივების მფლობელებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.
8. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს ტვირთის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე შეუძლებელია DHL-ის მიერ ტვირთის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:
8.1 არაგაბარიტული ტვირთის სატრანსპორტო ნახაზები, რომელიც უნდა შეიცავდეს:
8.1.1. არაგაბარიტული ტვირთის მოცემულობას 3 (სამ) განზომილებაში,
8.1.2. მაქსიმალური გაბარიტის მონაცემებს, მთლიანი წონის ზუსტ მითითებას,
8.1.3. სიმძიმის ცენტრის ზუსტ მითითებას,
8.1.4. შეფუთვის, სადგამებისა და დამხმარე დეტალების მითითებას,
8.1.5. სპეციალური დეტალების მითითებებს, ზომებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნახაზის ჩათვლით.
8.2. კომერციული ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
8.3. გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა;
8.4. გადაზიდვის საწყისი, საბოლოო დანიშნულების პუნქტი ან პუნქტები, ასევე, მიმღების/გამოგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
8.5. გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8.6. ტვირთის ზუსტი და დეტალური აღწერილობა;
8.7. სახიფათო ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახეობა, აღწერილობა, ასევე, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი ან/და MSDS (უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი);
9. მიწოდების პირობიდან გამომდინარე, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვას და მარკირებას.
10. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი DHL-ს არ ავალებს ტვირთის საბაჟო გაფორმების წარმოებას, მაშინ დამკვეთი ვალდებულია, დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს ტვირთის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მხარეები თანხმდებიან, რომ დატვირთვისათვის და დაცლისათვის გამოყოფილია 48 საათი, შესაბამისი საბაჟო გაფორმების ჩათვლით. თუ დამკვეთი ან/და მისი მიმღები მითითებულ დროში არ განახორციელებს ტვირთის დატვირთვას/დაცლას, მაშინ მან DHL-ს უნდა აუნაზღაუროს სატრანსპორტო საშუალების მოცდენის ხარჯები შეთანხმებული ოდენობის მიხედვით.

11. დამკვეთი ვალდებულია, შეამოწმოს შეთანხმებულ ადგილსა და დროს მიწოდებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალების ვარგისიანობა და მისი ტექნიკური გამართულობა, შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების უვარგისობის, ან ტექნიკური გაუმართაობის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია DHL-ს და მოითხოვოს მისი შეცვლა.

12. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

13. დამკვეთი, DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

14. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

15. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილზე, მათ შორის, მიმღებ ქვეყანაში ტვირთის მიმღების მიერ, ვალდებულია აუნაზღაუროს DHL-ს აღნიშნულით გამოწვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

16. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მიწოდება შეთანხმებულ ადგილზე და შეთანხმებულ დროს.

17. DHL ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

18. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული ტვირთის ტრანსპორტირება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.

19. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

20. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის: ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.

21. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით და საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს დამკვეთს.

22. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვის მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურებას
2. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას მხარეებს შორის შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. მომსახურების საფასური თანხმდება მხარეებს შორის, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, პროექტის სპეციფიკიდან და სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროიდან გამომდინარე. ამასთან, დამოუკიდებლად შეთანხმებული ღირებულებიდან, დამკვეთი გადაუხდის DHL-ს დაზოგილი ლოგისტიკური დანახარჯების ოდენობის 5%-ს.
4. კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებით სხვა შეთანხმება საჭიროებიდან გამომდინარე.
5. კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურებათა სპექტრი მოიცავს შემდეგ მომსახურებებს, რომელთაგან დამკვეთს, საჭიროებისამებრ, შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე:
5.1. ლოგისტიკური დანახარჯების შეფასებას და ოპტიმიზაციას
5.2. მიწოდების ჯაჭვის, მიწოდების ქსელისა და მიწოდების არხების შეფასებას, დაგეგმარებასა და მართვას
5.3. მომწოდებლების შეფასებას და შესყიდვების სისტემის დაგეგმარებასა და მართვას
5.4. წარმოების პროცესების შეფასებას და მართვას
5.5. მარაგების დაგეგმარებას და მართვას
5.6. საბაჟო და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებიდან გამომდინარე, შესყიდვებისა და რეალიზაციის ბაზრების ოპტიმიზაციას, დაგეგმარებასა და სატრანსპორტო პროცესების მართვას.
5.7. სასაწყობო და სადისტრიბუციო ქსელის შეფასებას, ოპტიმიზაციას, დაგეგმარებას და მართვას
5.8. ოპერაციების მართვასა და ტექნოლოგიების იმპლემენტაციას
5.9. პროექტების დაგეგმარებას და მართვას
6. კონსალტინგური და ინტეგრირებული ლოგისტიკისა და სასაწყობო მენეჯმენტის მომსახურება ხორციელდება DHL-ის გუნდის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრის ან წევრთა ჯგუფის მიერ, პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე.
7. ინტეგრირებულად ლოგისტიკური პროცესების მართვის შემთხვევაში, DHL-ის გუნდის წევრი ან წევრები განთავსდებიან დამკვეთის სარგებლობაში არსებულ ოფისში/საწყობში/საწარმოში.
7. დამკვეთი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, გამოუყოს DHL-ის გუნდის წევრებს სამუშაო ადგილი მის სარგებლობაში არსებულ ოფისში/საწყობში/საწარმოში.
8. დამკვეთი ვალდებულია მიაწოდოს DHL-ს ყველა ის საჭირო ინფორმაცია და მონაცემები, რის საფუძველზეც DHL-მა უნდა მოახდინოს მიმდინარე პროცესების შეფასება, რის შემდეგაც, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დამკვეთთან შეთანხმებით, მოახდენს იმპლემენტაციას.
9. DHL ვალდებულია დაიცვას დამკვეთის მიერ მოწოდებული ყველა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
10. DHL ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში შეიმუშავოს რეკომენდაციების პაკეტი და დამკვეთთან შეთანხმებით, მოახდინოს მათი იმპლემენტაცია ან/და შეთანხმებიდან გამომდინარე, მოახდინოს დამკვეთის მიმდინარე პროცესების მართვა.
11. ტრანსპორტირების ქსელის ოპტიმიზაციის შემთხვევაში, DHL ვალდებულია უზრუნველყოს ოპტიმალური პირობების შეთავაზება დამკვეთისათვის და არ შესთავაზოს საკუთარი სატრანსპორტო მომსახურება, როგორც საუკეთესო ვარიანტი.

საბაჟო გაფორმების
მომსახურების პირობები და წესები

1. DHL დამკვეთის მოთხოვნით, საკუთარი სახელითა და რესურსით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საბაჟო რეჟიმში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტში, განახორციელებს ტვირთებისა და საფოსტო გზავნილების სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას, ხოლო საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციებისა და სხვა დამატებითი დოკუმენტაციით უზრუნველყოფას.

2. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს აუნაზღაუროს მე-2 მუხლში მითითებული მომსახურების საფასური წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე. ამასთან გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, DHL ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წინასწარ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.

3. საბაჟო გაფორმების მომსახურება განხორციელდება სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული საბაჟო გაფორმების საჭიროებიდან გამომდინარე.

4. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს მიაწოდოს ტვირთებისა და საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი საჭირო დოკუმენტაცია, როგორიც არის: ტვირთის/გზავნილის ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და სატრანსპორტო ზედდებული. საჭიროების შეთხვევაში, იმპორტის მოსაკრებლის შესაბამისი გადახდის დადასტურება და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იქნება ტვირთის/გზავნილის განბაჟებისათვის, მისი სპეციფიკაციიდან გამომდინარე.

6. დამკვეთის თანხმობით DHL უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი დამატებითი მომსახურება, როგორიც არის: ტვირთის/გზავნილის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ორმაგი დანიშნულების ნებართვების, ფიტო/ვეტ სერთიფიკატებისა და სხვა დოკუმენტაციის მოპოვება დამკვეთის სახელით.

7. DHL-ისათვის მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის სისწორისა და შესაბამისობის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

8. მომსახურების განხორციელების შეფერხების, შეუძლებლობის, ან კიდევ, ვადის გადაცილებისათვის DHL-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ გამოვლინდება დამკვეთის საგადასახადო დავალიანების, არასწორი, ყალბი ან უზუსტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ან სხვა კანონდარღვევების ისეთი გარემოებები, რაც შეაფერხებს, ან შეუძლებელს გახდის საბაჟო გაფორმების პროცედურების გავლას.

9. დამკვეთის მიერ დოკუმენტაციის სრულად და უშეცდომოდ წარმოდგენის შემთხვევაში, DHL ვალდებულია 1 (ერთ) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ტვირთის/გზავნილის საბაჟო გაფორმება.

10. DHL ვალდებულია დაიცვას დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომერციული, საბანკო და სხვა კანონით დაცული კონფიდენციალურობა. დაუშვებელია, ასეთი სახის ინფორმაციის გადაცემა მესამე პირზე, გარდა საგადასახადო ორგანოებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. DHL-ის მიერ დამკვეთისთვის დასრულებული საბაჟო დოკუმენტაციის გადაცემით, დავალება ჩაითვლება უნაკლოდ შესრულებულად.

მომსახურების ტარიფები

2.1. გზავნილის შემთხვევაში ფორმა N4-ის (გამარტივებული დეკლარაციის) შესაბამისად:

2.1.1. **მოთხოვნის შემთხვევაში** ნულოვანი ღირებულების დეკლარაცია (ფორმა 4) - **25 (ოცდახუთი) ლარი**

2.1.2. გზავნილის ღირებულება 1- 1000 (ერთიდან-ათას) ლარამდე - **20 (ოცი) ლარი**

2.1.3. გზავნილის ღირებულება 1001- 3000 (ათას ერთიდან-სამიათას) ლარამდე - **25 (ოცდახუთი) ლარი**

2.1.4. გზავნილის ღირებულება 3001- 5000 (სამიათასერთიდან - ხუთიათას) ლარამდე - **30 (ოცდაათი) ლარი**

2.1.5. გზავნილის ღირებულება 5001-10000 (ხუთიათასერთიდან - ათიათას) ლარამდე - **40 (ორმოცი) ლარი**

2.1.6. გზავნილის ღირებულება 10000 (ათიათას) ლარზე მეტი - **50 (ორმოცდაათი) ლარი**

2.2. საჰაერო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:

2.2.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - **60 (სამოცი) ლარი**

2.2.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[2] - **5 (ხუთი) ლარი**

2.3. საზღვაო/სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:

2.3.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - **100 (ასი) ლარი**

2.3.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[1] - **5 (ხუთი) ლარი**

2.4. საავტომობილო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:

2.4.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - **75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი**

2.4.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[1] - **5 (ხუთი) ლარი**

2.5. საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ყოველი დამატებითი მომსახურება - **20 (ოცი) ლარი**

---

[2] საბაჟო დეკლარაციის ყოველ მომდევნო გვერდზე შესაძლებელის 3 (სამი) საბაჟო კოდის განთავსება

შიდა გადაზიდვები საქართველოს ტერიტორიაზე (საფოსტო კორესპონდენცია/გზავნილები და ტვირთები) მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით ახორციელებს შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურეობას.

2. ზოგიერთი ტვირთის გადაზიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მხარეებს შორის, წინასწარ, გადაზიდვის პროცესის დაწყებამდე, მოხდეს ტარიფისა და გადაზიდვისათვის საჭირო გონივრული სატრანზიტო დროის შეთანხმება.

3. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას კონკრეტული პერიოდისათვის გამოცხადებული ტარიფებისა და საწვავის დანამატის მიხედვით, ან კონკრეტული ტვირთის გადაზიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ამასთან გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, DHL ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წინასწარ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.

4. შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურების სატრანზიტო დრო მითითებული არის ტარიფების პარალელურად, ქვეყნების/ზონების მიხედვით, ხელშეკრულების დანართ N3-ში. სატრანზიტო დრო წარმოადგენს პრაქტიკიდან გამომდინარე საშუალო სატრანზიტო დროს რეგიონების/ზონების მიხედვით და არცერთ შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების არსებობის გარდა, არ წარმოადგენს გადაზიდვისათვის დათქმულ სატრანზიტო ვადას, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. სატრანზიტო დროის დაუცველობის შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებითი შეთანხმება სატრანზიტო დროსთან დაკავშირებით, DHL-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან/და ირიბ ზარალზე ან/და ზიანზე.

5. შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე.

6. შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურეობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი=250კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ)/6000. ამასთან გადასაზიდი გზავნილის/ტვირთის წონად ანგარიშსწორებისას ჩაითვლება ფაქტიური და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.

8. შიდა კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო და სატვირთო მომსახურეობის პროცესში DHL უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელით და ხარჯით ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებულ სასაწყობე მეურნეობებთან, სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მფლობელებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.

9. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე DHL უფლებამოსილია შეამოწმოს ტვირთის შიგთავსი და მისი შესაბამისობა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან.

10. რიგ შემთხვევებში DHL-ის მხრიდან შესაძლოა მოხდეს დამკვეთისათვის შემცირებული ტარიფების შეთავაზება. შემცირებული ტარიფის საკვალიფიკაციო მოთხოვნის საფუძველია დამკვეთის მიერ 90 კალენდარული დღის განმავლობაში არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ან/და ჯამურად 999 კილოგრამი წონის გზავნილის (რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 15 გზავნილისგან) გაგზავნა/მიღება ნებისმიერი მიმართულებით საქართველოს ტერიტორიაზე.

11. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის ზღვრული ღირებულება აღემატება 1000 ლარს, მათ შორის, იმპორტ-ექსპრესის მომსახურებით გადაზიდულ გზავნილებზე, დამკვეთი ვალდებულია, ამის შესახებ, შეატყობინოს DHL-ს წინასწარ, გადაზიდვის დაწყებამდე და მიიღოს კონსულტაცია ასეთი გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებით.

12. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს გზავნილის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია (ტვირთის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აღნიშნოს ტვირთის ღირებულება ელექტრონულად დატვირთულ ზედნადებში) და მონაცემები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულებაზე. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:

12.1. სასაქონლო ზედნადები (ელექტრონული ფორმით ატვირთვა), საჭიროების შემთხვევაში, გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.
12.2. გადაზიდვის საწყისი, საბოლოო დანიშნულების პუნქტი ან პუნქტები, ასევე, მიმღების/გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ზუსტ მისამართს და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.
12.3. გზავნილის ზუსტი წონა და გაბარიტები. ამასთან DHL ახორციელებს ამ ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, გამგზავნთან/დამკვეთთან შეთანხმებით აზუსტებს მას.
13. დამკვეთი ვალდებულია DHL-ს გადასცეს სათანადოდ შეფუთული ტვირთი, ან შესაბამის შემთხვევაში დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, **სასაწყობო და სატერმინალო (საქართველოს ტერიტორიაზე) მომსახურების პირობების და წესების თანახმად**, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.
14. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჯეროვნად მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვასა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადების ელექტრონულად ატვირთვას. დამკვეთი, ასევე, ვალდებულია გზავნილი და თანხმლები დოკუმენტაცია ჯეროვნად ჰქონდეს გამზადებული DHL-ის სატრანსპორტო საშუალების ადგილზე მისვლის მომენტისათვის.
15. DHL ვალდებულია, დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოახდინოს სატრანსპორტო დოკუმენტაციის სწორად გაფორმება. ხოლო თუ დამკვეთი, მისთვის ჩატვირთული პროგრამის მეშვეობით, თავად ახორციელებს სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმებას, დამკვეთი თვითონ არის პასუხისმგებელი ასეთი დოკუმენტაციის სისწორეზე.
16. DHL ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთისგან მიღებული გზავნილის შეთანხმებულ დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება და მისი გადაცემა მიმღებისათვის სრულად და დაუზიანებლად.
17. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.
18. გზავნილის ჩაბარება დანიშნულების ადგილზე უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე, ამასთან, DHL არ იღებს ვალდებულებას, რომ გზავნილი ჩააბაროს უშუალოდ საკონტაქტო პირს, თუ მხარეთა შორის ამაზე არ არსებობს შეთანხმება და არ არის გადახდილი ტარიფზე დანამატი (განსაკუთრებული პირობა ჩაბარება საკონტაქტო პირზე, პირადი ნომრის ან/და თანამდებობის მითითებით). დამკვეთისათვის გზავნილის ჩაბარების შესახებ დეტალების მიწოდება განიხილება ცალკე მომსახურებად, შესაბამისად, მასზე დაწესებულია ცალკე ტარიფი.
19. იმ შემთხვევებში, თუ შეუძლებელია საბოლოო დანიშნულების ადგილზე მომსახურების განხორციელება დამკვეთისგან გამომდინარე მიზეზით (არასწორი/არასრული მისამართის გამო, მიმღების სხვა მისამართზე გადასვლის გამო) ახალ მისამართზე გზავნილის გაგზავნა განხორციელდება დამატებითი საფასურის გადახდის პირობით. ტარიფი იმავე ქალაქში გადამისამართების შემთხვევაში იქნება გადაზიდვის პირველადი ღირებულების 20%, ხოლო სხვა ქალაქში გადამისამართების შემთხვევაში, იმოქმედებს სტანდარტული ტარიფი. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდება გზავნილის მიმღებისათვის დაბრუნება, იმოქმედებს ტარიფი გადაზიდვის პირველადი ღირებულების 80%-ის ოდენობით.
20. 30 კგ-მდე გზავნილის ჩაბარების მცდელობას მიმღებისთვის DHL განახორციელებს ორჯერ, მათ შორის მეორედ მომდევნო სამუშაო დღეს. ორივე ჯერზე ჩაბარების შეუძლებლობის შემთხვევაში (მიმღების მისამართზე ნებისმიერი მიზეზით არ ყოფნის შემთხვევაში), გზავნილი განთავსებულ იქნება მოკითხვამდე რეჟიმით მიმღები ქალაქის ან და მიმღებ ქალაქთან უახლოეს DHL-ის ოფისში, ამავდროულად, DHL მიმღების მისამართზე/კართან დატოვებს შეტყობინებას DHL-ის უახლოესი ოფისის მისამართისა და სამუშაო საათების შესახებ; 30 კგ-ს ზევით გზავნილის შემთხვევაში კი პირველივე უშედეგო მცდელობის შემდეგ, გზავნილი განთავსებული იქნება DHL-ის უახლოეს საწყობში, საიდანაც გზავნილის/ტვირთის გატანა შესაძლებელი იქნება მიმღების მიერ; ან დამკვეთისგან დამატებითი საფასურის გადახდის პირობით, DHL კვლავ განახორციელებს გზავნილის ჩაბარების მცდელობას.
21. **იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, საფასურს აანაზღაურებს დამკვეთი.**
22. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულ **მე-11 პუნქტში** ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც მისი გადაზიდვის, შენახვის ან/და დამუშავებისას ფაქტობრივად წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები - დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის: ტვირთის იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.
23. იმ შემთხვევაში თუ გადასაზიდი ტვირთის დასაწყობება ევალება DHL-ს, ასეთ მომსახურეობაზე გავრცელდება „სასაწყობო და სეტერმინალო (საქართველოს ტერიტორიაზე) " მომსახურების პირობები და წესები.

24. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-6 პუნქტში მითითებული გადაზიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობითა და მომსახურების ამ პირობებით.

სასაწყობო და სატერმინალო (საქართველოს ტერიტორიაზე) მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი საზღაურის მიღების პირობით და დამკვეთის უშუალო დავალებით, ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე სასაწყობო მომსახურეობას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე, საბაჟო რეჟიმის საწყობში.

2. სასაწყობო მომსახურების სრული სპექტრიდან, დამკვეთს, საჭიროებისამებრ, შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე მომსახურეობა:

2.1. ჩვეულებრივი სასაწყობო მომსახურება:

2.2. შენახვა დახურული ტიპის საწყობში სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმში

2.3. შენახვა ღია ტიპის საწყობში

2.4. შენახვა სტელაჟებზე, მიწის დონეზე, პაქბინებში

2.5. სატრანსპორტო საშუალების დაცლა/დატვირთვა, როგორც მექანიკურად, ასევე, ხელით

2.6. ქროსდოქინგი

2.7. მიღება სახეობების/დასახელების მიხედვით

2.8. დაზედდებულება, მარკირება

2.9. დახარისხება

2.10. შეკვეთის აწყობა, კომპლექტაცია

2.11. აწონვა, გადაწონვა

2.12. პალეტიზირება, შეფუთვა, გადაფუთვა

2.13. საწყობიდან გაცემა დამკვეთის დამკვეთზე

2.14. ინვენტარიზაცია, მარაგების მართვა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება

2.15. მონაცემთა ელექტრონული გადაცემა

2.16. უტილიზაცია, განადგურება

3. დამკვეთი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მხარეებს შორის შეთანხმებული ტარიფის მიხედვით, DHL-ის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე, ყოველთვიურად.

4. ტარიფის დაანგარიშება ხდება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის, კონკრეტული მომსახურების მიხედვით, ტვირთის ზომის, წონის, საჭირო შეფუთვის ტიპის, დასაწყობების ხანგრძლივობის, დასაწყობების რეჟიმისა და დასაწყობების საჭირო ტემპერატურის მიხედვით.

5. სასაწყობო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება, სასაწყობო ოპერაციიდან საჭიროებიდან გამომდინარე.

6. სასაწყობო მომსახურეობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სასაწყობო მომსახურეობის გაწევისას, DHL უფლებამოსილია განახორციელოს ოპერაციები, როგორც საკუთარ სასაწყობო ფართში, ასევე, იჯარით აიღოს სასაწყობო ფართი მესამე პირებისაგან. ამასთან, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, დამკვეთის სახელითა და ხარჯით, ხელშეკრულებები გააფორმოს სასაწყობო ფართების მფლობელებთან, სხვადასხვა დამცლელი/დამტვირთავი ტექნიკური საშუალებების მფლობელებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი.

8. საწყობში ნებისმიერი სასაწყობო ოპერაციის ორგანიზების მიზნით, ტვირთის მიღება ხდება დამკვეთისა და DHL-ის წარმომადგენლების მიერ, მითვლის, რაოდენობისა და ხარისხის შემოწმების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

9. დამკვეთი ვალდებულია მიაწოდოს DHL-ს მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაცია დეტალურად და სწორად.

10. დამკვეთი ვალდებულია შენახვის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს დეტალური ინფორმაცია შესანახი ან/და დასამუშავებელი ტვირთის შენახვისათვის საჭირო რეჟიმისა და ტემპერატურის შესახებ.

11. დამკვეთი ვალდებულია შენახვის სატრანსპორტო საშუალების დაცლა/დატვირთვის გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების საწყობში მოსვლის დროისა და დაცლა/დატვირთვის სასურველი ტიპის შესახებ.

12. დამკვეთი ვალდებულია დახარისხების, კომპლექტაციის და შეკვეთის აწყობის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს დაზუსტებული ინფორმაცია სახეობების/დასახელებებისა და მათი რაოდენობის მიხედვით.

13. დამკვეთი ვალდებულია პალეტიზირების, შეფუთვის, გადაფუთვის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს დაზუსტებული ინფორმაცია პალეტის ზომის და პალეტზე განსათავსებელი პროდუქტის რაოდენობისა და წონის, ისევე, როგორც სასურველი შეფუთვის ტიპის შესახებ.

14. დამკვეთი ვალდებულია საწყობიდან გაცემის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს დაზუსტებული ინფორმაცია თუ რომელი სახეობა/დასახელება რა რაოდენობით, როდის და ვისზე უნდა გაიცეს.
15. დამკვეთი ვალდებულია ატვირთოს სწორი ელექტრონული ზედნადები იმ შემთხვევაში, თუ საწყობში არსებული ტვირთის ნაწილის ან სრულად გადაზიდვას საქართველოს ტერიტორიაზე უკვეთავს DHL-ს.
16. დამკვეთი ვალდებულია განადგურება, უტილიზაციის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, მიაწოდოს DHL-ს ტვირთის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი განადგურებისათვის საჭირო დეტალური ინფორმაცია.
17. DHL ვალდებულია უზრუნველყოს სასაწყობო მომსახურეობები სუფთა და დაცულ სასაწყობო ფართში.
18. DHL ვალდებულია უზრუნველყოფილი ჰქონდეს სასაწყობო ფართი ცეცხლმაქრებით, სამეთვალყურეო კამერებითა და უსაფრთხოების სისტემით.
19. DHL ვალდებულია ჰქონდეს დაზღვეული საწყობში განთავსებული ტვირთის სასაწყობო რისკები, ტვირთის ღირებულების ოდენობით და შესაბამისი ფრანშიზის გამოკლებით.
20. DHL ვალდებულია უზრუნველყოს მე-2 პუნქტში მითითებული მომსახურეობები, დამკვეთის მიერ მოწოდებული დავალების თანახმად, სრულად, უნაკლოდ და შეთანხმებულ ვადებში შესრულება.
21. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ინვენტარიზაციისა და საწყობში არსებული ნაშთების შესახებ სახეობების/დასახელებების მიხედვით.
22. იმ შემთხვევაში, თუ საწყობში განთავსებული ტვირთის დისტრიბუცია/მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე ევალება DHL-ს, ასეთ მომსახურეობაზე გავრცელდება „შიდა გადაზიდვები საქართველოს ტერიტორიაზე (საფოსტო კორესპონდენცია/გზავნილები და ტვირთები)" მომსახურების პირობები და წესები.
23. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მე-4 პუნქტში ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები, დამკვეთი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის: თავიდან მარკირების, დაზედდებულების, დახარისხების, კომპლექტაციის, დაპალეტების, შეფუთვისა და გადაფუთვის, ტვირთის არასწორ ტემპერატურულ რეჟიმში შენახვისგან გამომდინარე წარმოშობილი შედეგების აღმოფხვრისა ან/და განადგურების ხარჯები, ან/და მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები.
24. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-6 პუნქტში მითითებული გადაზიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობითა და მომსახურების ამ პირობებით.

ტვირთებისა და საფოსტო კორესპონდენციის/გზავნილების დაზღვევა

ლონდონის მზღვეველთა ინსტიტუტის დაზღვევის პირობები
(Institute Cargo Clauses)

ტვირთების დაზღვევის პროგრამა ითვალისწინებს ტვირთების გადაზიდვისას, მისი სრული ან ნაწილობრივი განადგურების შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურებას. დაზღვევა მოქმედებს ტვირთების როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტირებისას

ყველა რისკისაგან დაზღვევა მათ შორის:

- ხანძარი ან აფეთქება;
- ხომალდის მეჩეჩზე შეჯდომა, ფსკერზე დაჯდომა, გადაბრუნება ან ჩაძირვა;
- სახმელეთო ტრანსპორტის გადაბრუნება ან განადგურება;
- სატრანსპორტო საშუალებების წლის გარდა სხვა გარე საგნებთან შეჯახება ან კონტაქტი;
- ტვირთის გადმოტვირთვისას საავარიო გაჩერება პორტში;
- საერთო ავარიის;
- დაზღვეული ტვირთის ბორტის გარეთ გადავარდნის ან წლის ძალით გადაგდება;
- სატრანსპორტო საშუალებაში ან ტრანსპორტირების პროცესში შენახვისას ზღვის, ტბის, მდინარის წლის შეღწევა.

სატრანსპორტო საშუალებაზე ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის ან ბორტის გარეთ დაკარგვის შედეგად შეფუთვის სრული განადგურება.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- დამზღვევი/დაზღვეული ზიანის ფაქტის აღმოჩენიდან 24 საათის განმავლობაში დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ზიანის შესახებ (გადამზიდველის დასახელება, ზიანის დადგომის ადგილი და დრო, საკონტაქტო მონაცემები და სხვა მისთვის ცნობილი ინფორმაცია) მზღვეველის 24-საათიან საინფორმაციო სამსახურს ნომრებზე: 2 991 991, განაცხადებს ფაქტის შესახებ შესაბამის ორგანოებში.
- შეინარჩუნოს დაზიანებული ტვირთი იმ მდგომარეობაში, როგორიც აღმოაჩინა მზღვეველის წარმომადგენელის ადგილზე მისვლამდე და დაზიანებული ტვირთის დათვალიერება/ფოტოგადაღებამდე, რათა დადგინდეს ზიანის მიზეზები, ოდენობა და ზიანთან დაკავშირებული გარემოებების სხვა დეტალები;
- მზღვეველთან შეთანხმებით თავად მოახდინოს დაზიანებული ტვირთის ფოტოგადაღება და უზრუნველყოს მისი გადაგზავნა მზღვეველთან. ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა წარუდგენს მზღვეველს წერილობით განაცხადს ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით.

ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საერთო პირობები:

შემთხვევის დადგომიდან 30 დღის განმავლობაში დამზღვევმა ტვირთისა და გადაზიდვის ხასიათიდან გამომდინარე უნდა მიაწოდოს მზღვეველს:

1. სადაზღვევო პოლისის დედანი;
2. სადაზღვევო პრემიის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. ტვირთის სათანადოდ შეფუთვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. ტვირთის დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც გადაღებული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ დაზიანების აღმოჩენისთანავე.
5. გადამზიდველის/შემსრულებლის/დამკვეთის მიერ დადასტურებული დოკუმენტი ტვირთის სათანადოობის შესახებ გაგზავნის/მიღების/ჩატვირთვის დროს.
6. ანაზღაურების მიღების უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;

7. ტვირთის ღირებულებისა და კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები (კონტრაქტები, ანგარიშები და სხვა);
8. გადაზიდვის დოკუმენტები (ზედნადები, კონოსამენტები და სხვა);
9. ტვირთის თანმხლები დოკუმენტები (ტვირთის თანმხლები დოკუმენტები: სპეციფიკაცია, დაწყობის აღწერა, საბაჟო დეკლარაციები და სხვა);
10. სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოფიციალური დოკუმენტები სადაზღვევო შემთხვევის ფაქტზე პოლიციიდან ან სხვა კომპეტენტური ორგანოებიდან ან/და გადამზიდავის წერილი სადაზღვევო ფაქტის დადასტურების თაობაზე და ა.შ);
11. ზიანის ოდენობის და გამომწვევი მიზეზის დადგენის შემდეგი დოკუმენტები: ზიანის ოდენობის და გამომწვევი მიზეზების აქტი; ტვირთის დათვალიერებისა და ექსპერტიზის აქტი; საავარიო სერთიფიკატი; გაღებული ხარჯების (ასეთის არსებობისას) დამადასტურებელი დოკუმენტები, ზარალის ანგარიშებზე, ზიანის, ხარჯების და შენატანების დოკუმენტებით დასაბუთებული გაანგარიშება ან დისპაშა და სხვა.
12. აღნიშნული დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში დაზუსტდეს „მზღვეველის" მიერ, და წერილობით ეცნობოს დამზღვევს/დაზღვეულს ამის შესახებ.

მზღვეველი ყველა საბუთის მიღებიდან, შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარებისა და სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენიდან 30 დღის ვადაში გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას;

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღების პირობები და წესები

1. მხარეები გამოთქვამენ ნებას და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება N 445388054 ყველა სახის შეტყობინება მიიღონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებას გააჩნია იგივე იურიდიული ძალა რაც ოფიციალურ შეტყობინებას ან/და დოკუმენტს.
3. მხარეები გამოყოფენ და ნიშნავენ საკუთარ ორგანიზაციებში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემდეგ საკონტაქტო პირებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი"
საკონტაქტო პირი: იურიდიულ საკითხებში
თეა ზაქარეიშვილი
კომერციულ საკითხებში
ლიკა ჟვანია
ელ. ფოსტა: BATUMI@DHL.GE;
NINO.SHENGELIA@DHL.GE;

ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო
საკონტაქტო პირი: თამარ ხაბაძე
ელ. ფოსტა: agency@gobatumi.com
ტელ: 577404133